ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №130

2011 წლის 10 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

მოქალაქე ინგა ღვალაძისათვის მაღალი ძაბვის კაბელის მონტაჟისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა გაგრა, საბჭოს ქ.№8-ში მცხოვრებ მოქალაქე ინგა ღვალაძემ ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს მაღალი ძაბვის კაბელის მონტაჟი დავით აღმასენებლის გამზირი №432-დან №448-მდე ტროტუარზე 0.4 კვ. 0.5 მ სიგანე, 0.6 მეტრ სიღრმეზე.

2. გაგრა, საბჭოს ქ.№8-ში მცხოვრებ მოქალაქე ინგა ღვალაძემ ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის კაბელის მონტაჟისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს მოქალაქე ინგა ღვალაძე მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

4. გაგრა, საბჭოს ქ.№8-ში მცხოვრებ მოქალაქე ინგა ღვალაძემ უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“, ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილი გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

5.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**